ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №69

20.11.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, ერეკლე კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ირაკლი ჭანტურია** - ქალლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 13 ნოემბრის №12-032031836-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 13 ნოემბრის №12-032031836-03 წერილი)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 840 302 500 (რვაას ორმოცი მილიონ სამას ორი ათას ხუთასი) ლარით, რაც 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (№51-104 დადგენილება 27.12.2019წ.) მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 1 021 400 600 (ერთი მილიარდ ოცდაერთი მილიონ ოთხასი ათას ექვსასი) ლარს, შემცირებულია 181 098 100 (ას ოთხმოცდაერთი მილიონ ოთხმოცდათვრამეტი ათას ასი) ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

1) **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა** - დაფინანსების ოდენობა: 72 223 200 (სამოცდათორმეტი მილიონ ორას ოცდასამი ათას ორასი) ლარი;

2) **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება** - დაფინანსების ოდენობა: 140 088 300 (ას ორმოცი მილიონ ოთხმოცდარვა ათას სამასი) ლარი;
3) **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - დაფინანსების ოდენობა: 106 218 400 (ას ექვსი მილიონ ორას თვრამეტი ათას ოთხასი) ლარი;
4) **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - დაფინანსების ოდენობა: 4 164 400 (ოთხი მილიონ ას სამოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარი;
5) **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - დაფინანსების ოდენობა: 39 157 300 (ოცდაცხრამეტი მილიონ ას ორმოცდაჩვიდმეტი ათას სამასი) ლარი;
6) **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - დაფინანსების ოდენობა: 164 376 900 (ას სამოცდაოთხი მილიონ სამას სამოცდათექვსმეტი ათას ცხრაასი) ლარი;
7) **განათლება** - დაფინანსების ოდენობა: 62 919 000 (სამოცდაორი მილიონ ცხრაას ცხრამეტი ათასი) ლარი;
8) **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - დაფინანსების ოდენობა: 38 814 500

(ოცდათვრამეტი მილიონ რვაას თოთხმეტი ათას ხუთასი) ლარი;

9) **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - დაფინანსების ოდენობა: 4 402 300 (ოთხი მილიონ ოთხას ორი ათას სამასი) ლარი;

10) **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - დაფინანსების ოდენობა: 107 938 200 (ას შვიდი მილიონ ცხრაას ოცდათვრამეტი ათას ორასი) ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 820 159 300 (რვაას ოცი მილიონ ას ორმოცდაცხრამეტი ათას სამასი) ლარის ოდენობით. **მათ შორის:**

- **გადასახადები** - 657 355 800 (ექვსას ორმოცდაჩვიდმეტი მილიონ სამას ორმოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ლარი;
- **გრანტები** - 5 936 100 (ხუთი მილიონ ცხრაას ოცდათექვსმეტი ათას ასი) ლარი;
- **სხვა შემოსავლები** - 156 867 400 (ას ორმოცდათექვსმეტი მილიონ რვაას სამოცდაშვიდი ათას ოთხასი) ლარი, რომლის ოდენობაც, 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 46 130 000 (ორმოცდაექვსი მილიონ ას ოცდაათი ათასი) ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 682 013 300 ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 72 629 200 ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 124 242 900 ლარი, პროცენტი - 7 651 000 ლარი, სუბსიდიები 213 884 200 ლარი, გრანტები - 511 800 ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 159 740 300 ლარი, სხვა ხარჯები - 103 353 900 ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

წარმოდგენილი პროექტით **არაფინანსური აქტივების ცვლილება** შეადგენს:

- 122 681 500 ლარს, მათ შორის:
- არაფინანსური აქტივების ზრდა – 142 681 500 ლარი.
- არაფინანსური აქტივების კლება – 20 000 000 ლარი.

ხოლო **ფინანსური აქტივების ცვლილება** - 143 200 ლარი;

– ფინანსური აქტივების კლება – 143 200 ლარი.

2021 წლისათვის **ვალდებულებების ცვლილება** შეადგენს 15 607 600 ლარს, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

2021 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის **მთლიანი სალდო** განისაზღვრა 15 464 400 ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 840 302 500 ლარს.

მომხსენებელმა, ბ-ნმა გ. თალაკვაძემ დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების საფუძველზე, მოსალოდნელია დედაქალაქის ბიუჯეტის დამატებით, 125 000 000 (ას ოცდახუთი მილიონი) ლარით გაზრდა, რაც გადანაწილდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების მიხედვით, მათ შორის, გამწვანების ღონისძიებებებით (კოდი 03 01) გათვალისწინებული ისეთი პროექტის განსახორციელებლად, როგორიცაა „თემქის ხევის საქალაქო პარკის" პროექტი (20 მილიონი ლარი) და სხვ.

კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრიორიტეტებზე:

1. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** (კოდი: 03), რომლის დაფინანსების ოდენობაც განსაზღვრულია **106 218 400** (ას ექვსი მილიონ ორას თვრამეტი ათას ოთხასი) ლარით, რაც 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (№51-104 დადგენილება 27.12.2019წ.) (პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 03) მიმართებაში, რომელიც შეადგენდა **111 348 100** (ას თერთმეტი მილიონ სამას ორმოცდარვა ათას ასი) ლარს, შემცირებულია 5 129 700 (ხუთი მილიონ ას ოცდაცხრა ათას შვიდასი) ლარით.

   პრიორიტეტის ფარგლებში:

   - **გამწვანების ღონისძიებებისათვის (კოდი: 03 01)** გათვალისწინებულია **41 712 300** (ორმოცდაერთი მილიონ შვიდას თორმეტი ათას სამასი) ლარი, მათ შორის სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის - 15 522 100 (თხუთმეტი მილიონ ხუთას ოცდაორი ათას ასი) ლარი, მცენარეთა შესყიდვა-დარგვისთვის - 7 554 200 (შვიდი მილიონ ხუთას ორმოცდათოთხმეტი ათას ორასი) ათასი ლარი, ეკოსერვის ჯგუფის ფუნქციონირების ხარჯები - 17 800 000 (ჩვიდმეტი მილიონ რვაასი ათასი) ლარი.
   - **დასუფთავების ღონისძიებებისათვის (კოდი: 03 02)** გათვალისწინებულია 56 854 000 (ორმოცდათექვსმეტი მილიონ რვაას ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი, მათ შორის თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი.
   - **თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03)** - 7 652 100 (შვიდი მილიონ ექვსას ორმოცდათორმეტი ათას ასი) ლარი.

2. **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი: 09)**, რომლის დაფინანსების ოდენობაც განსაზღვრულია 4 402 300 (ოთხი მილიონ ოთხას ორი ათას სამასი) ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა - ცხოველთა მონიტორინგი (კოდი: 09 02) - 3 585 200 (სამი მილიონ ხუთას ოთხმოცდახუთი ათას ორასი) ლარით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს: ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა და ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა, რომლებიც დაინტერესდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დედაქალაქის მომავალი, 2021 წლის ბიუჯეტში ტრანსფერის განხორციელებისა და მისი გადანაწილების შესახებ.

ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი დაინტერესდა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობის პროექტების საკითხით. კერძოდ, **ვარკეთილის ხევში (საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ხომლელის ქუჩის მიმდებარედ) ახალი პარკის მოწყობის პროექტით**, რომელიც ჯერ კიდევ 2017 წელს უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, პროექტის განხორციელება 2020 წლამდე ვერ მოხერხდა.

მიმდინარე, 2020 წელს შესყიდულ იქნა ვარკეთილის ხევში ახალი პარკის პროექტი, რის შემდეგაც, მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრაზე აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია შედგა.

პარკის ტერიტორია, რომლის მიმდებარედ, დაახლოებით, 40 ათასი ადამიანი ცხოვრობს, 3 ჰექტრამდე ფართობს მოიცავს. ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების, ხე-ნარგავების შენარჩუნებითა და გარემოში მინიმალური ჩარევით, თანამედროვე რეკრეაციული სივრცის შექმნა, ვარკეთილის მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მათ დღესდღეობით არ გააჩნიათ პირდაპირი წვდომა მსხვილ საპარკო-სარეკრეაციო ობიექტებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში“, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნას **ვარკეთილის ხევში (საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ხომლელის ქუჩის მიმდებარედ) ახალი პარკის მოწყობის პროექტისთვის საჭირო დაფინანსება** - 5 655 000 (ხუთი მილიონ ექვსას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში“, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნას **ვარკეთილის ხევში (საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ხომლელის ქუჩის მიმდებარედ) ახალი პარკის მოწყობის პროექტისთვის საჭირო დაფინანსება** - 5 655 000 (ხუთი მილიონ ექვსას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის“ პროექტთან დაკავშირებით კომისიის მიერ გამოთქმული წინადადებები (შენიშვნები), შემდგომი განხილვისთვის გაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში", შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნას **ვარკეთილის ხევში (საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ხომლელის ქუჩის მიმდებარედ) ახალი პარკის მოწყობის პროექტისთვის საჭირო** დაფინანსება - 5 655 000 (ხუთი მილიონ ექვსას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის" პროექტთან დაკავშირებით კომისიის მიერ გამოთქმული წინადადებები (შენიშვნები), შემდგომი განხილვისთვის გაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი